



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალურ ნახაბიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირას დღეს

№ 53

დეკემბერი 25 1896 წ.

№ 53

შინაარსი: † სერგეი ალექსანდრეს ძე შერემეტევი.—გაგრიტი.—უცხოეთის ამბები.—ფერია, (საშობაო მოთხრობა) განდევნილისა, —რუსეთის ხრონიკა ფ. მ.—სა.—ლეჩხუმი დროებით ლეჩხუმელისა.—უცხოეთიდან: სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში (დასასრული), საზღვარგარეთელისა.—მაჰა დიომიდე, ჩხაიძეს პასუხათ არ. ორმოცამისა.—ყარბო და ქუთაისის ბანკის განცხადებანი.

ამ ნომერთან იგზავნება მთელი წლის „კვალის“ სარჩევი.

კავკასიის მთავარ-მართებლის შერემეტევის გადაცვალების გამო.



მ დღეებში მძიმე ავთომყოფობამ იმსხერპლა მოსკოვში სერგეი ალექსანდრეს ძე შერემეტევი, მთავარ-მართებლათ ნამყოფი კავკასიაში. შერემეტევი ძველი რუსეთის გვარიდან არის ჩამომავალი. ქაბუკობიდან შეეთესა კავკასიის მხარეს და განსაკუთრებით პატივისცემით ეპყრობოდა ჩვენებურებს. ის არ იყო ისეთი კაცი, რომ სხვა გვარისა და ჯილ-გისთვის ზურგი შეექცია და ამ მის კაცობრიულ თვისებაში ეპოვებთ უმთავრეს დამსახურებას ჩვენი ქვეყნის წინაშე. იმან დაიწყო თავდაპირველათ კავკასიაში სამსახური და აქვე მიიღწია უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობის ხარისხამდე. ექვსი წლის განმავლობაში იგი მართავდა მთელს კავკასიას მშვილობიანთ.

სერგეი ალექსანდრეს ძე შერემეტევი ბუნებით კეთილი და სათნო კაცი იყო, ამასთან კარგი მიმღები და თავმდაბალი, არავისთვის ცუდი არ უნდოდა, საუკუნოთ იყოს ხსენება მისი.

სერგეი ალექსანდრეს ძე შერემეტევი.

გ ა კ ვ რ ი თ .



მ იწურა ეს წელიწადი, დღე დღეზე გადის. ერთ იმასაც ისტორიის პარკუჭაში. როდესაც გავლილს თვალს ვადავებებთ, დავაკვირდებით, შავი ფიქრები გავგვიტაცებენ, სასოწარკვეთილებამ შეგვიპყრობს. მაგრამ ჩვენდა უნებლიე ამავე დროს გვერდში ამოგვიდგება რაღაც ძალა, რომელსაც იმედს ეძახიან. ეს არის ხოლმე ჩვენი მხსნელი, ჩვენი სულის ჩამდგმელი.

მგონი, ამისთანა უბედური წელიწადი იშვიათათ დაგვედგამია; ისეთი სიტყვა არ ყოფილა, რომ ამ წელიწადზე არ ხმარებულყოფს ხალხს უბედურების გამოსახატველათ. წყალდიდობით მიეცება ხალხი ახალ-წელიწადს, დიდი თოვლი, უგზო-უყვლობა, მრავალი სარჩოსაბადებელის დაკარგვადა თვით ხალხის დაღუპვა მოდევდა ამ წელიწადს. უკანასკნელ ღონისძიებას მოკლებული ხალხი დარჩა გაზაფხულზე უსახსროთ ამ დროს ხელმეორეთ დიდი წყლობა დაატყდა თავს. ამ წელსვე დაეცა შავი ქვის მრეწველობა, რომელიც მთელ შორაპნის მაზრას სულს უდგამდა. სიმინდრეც ამ წელს ან სულ არ მოვიდა და ან გაცილებით სხვა წელიწადებზე ნაკლები იყო. კახეთსაც ეახმა უმტყუნა, ლენის მოსავალი მესამე წელიწადია იქ არ უნახავთ. ამ წელიწადმა სხვა ფრივათაც დიდი ზარალი მოგვიტანა. ჩვენ დავკარგეთ ისეთი იშვიათი პირი, რომელიც ორას, სამას წელიწადში ერთხელ იბადება—მე ვამბობ, ნეტარ ხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოსზე. ამავე წელს ვადიცვალა ქართული ენის იშვიათი მცოდნე და სამშობლოს მოსიყვარულე თე. ნიკოლოზ ზადიანი. სხვა უბედურებასთან ერთათ თვალწინ წარმომიდვა ჩვენი მიწა-წყლის, ჩვენი მამულების ხელადან გამოცლა, დაკარგვა და მე უიმედობით საშინელ საგონებელში ჩავეარდო, ვიტაცე თმებში ხელი, მაგრამ უცბათ შემოცქრა აღდა ჩემ ოთახში ქაბუკი „იმედი“ და ღიმილით მითხრა: თუ ერთ-ორი მოკვდა, რა იცი, რომ მის მაგიერ ათი და ოცი არ დაბადდა? „ვანა ერთი წელიწადი ისტორიას შეადგენს, რომ აგრეთ სასოწარკვეთილებას მისცემიხარო?“

—სამწუხარო როგორ არა მაქვს! აქ ერთი წელიწადიც არის და ათზე მეტიც, ვუთხარი მე გულმოსულმა.—განა ათ წელიწადზე მეტა არ არი, რომ ჩვენი საზოგადოება მოწაღინეა თავის სათავად აზნაურო სკოლას აუშენოს საკუთარი შენობა? მე რე სად არი?

•ტყუი, მოხუცო, ადგილიც ამოჩრეული აქვთ, ფულცი მზათ არის. ამბობენ, ამ დღეებში აკურთხებენო კიდევ საძირკველს. აშენებას ხომ ერთ ზაფხულშია მოასწარებენ.“

—ჩვენ ქართულ თეატრზე რაღას იტყვი, ათ წელიწადზე მეტი არ არი, რომ არც ახალი ხეირიანი პიესა დაუწერია ვისმე, არც ახალი ნიჭიერი მსახიობები გამოჩენილან, აღარც ხალხი თანაუგრძობს?

„არაფერია, ოპერა მოდამია და ის არის! შენ ხომ ამბობ მამულებს ავირავებენო. აი, ის დავირავებული მამულების ფული აწუხებს; ფული ხელის ტუტუკია, სანამ არ მოიცლიან, არ მოისვენებენ, არ მოიგონებენ თავისიანებს. ნახეთ, მე რე ქართველობამ რა თანაგრძობა გამოიჩინოს, მაშინ გაჩაღდება საქმე: მწერლებიც და ნიჭიერი მსახიობებიც დაიბადებიან...“

—ამ წერაკითხვის საზოგადოებაზე რაღას იტყვი, ქაბუკო, რამდენი წელიწადია ერთ წერტილზე დგას. წვერნი შეებერდენ და ახლა ძილს მიეცენ. კვირაში ერთხელ მდივანი ჩაძახებს: ძველი ხელთნაწერი ვიპოვეთო, რას მიბძანებთო? მაშინ ერთი ორი გამოფხიზლდება, დაიძახებს: ვიყილოთ, ვიყილოთო! „ახალ სამკითხველოს ხსნიან, წიგნებს თხოვლობენო“—განაგრძობს მდივანი:—„მიეცეს სიის გვირგვანი, კონა, კოკორი—ხუთი თუმნისი. ფული რომ არა გვაქვსო—უმატებს მდივანი. მაშინ, ახლა სხვა წვერნი თვლების ფშენებით წამოიძახებენ. „მაშ 5 მანეთისა მიეცეთო!“

•მაგასაც ტყუი, მოხუცო. ვინა თქვა, რომ ძინავთ? მაშ ყულაბებით ვინ აგროვებს ფულებს? თუ ძინავთ, ეგ იმიტომ, რომ მუშაობით მოიქანცენ, ჯაფას ველარ იტანენ. ახალგაზღბები შეველენ, დაფაცურდებიან და საქმეს არ მიაძინებენ.“

—ქალებს სკოლის დაარსების შესახებ რაღა გვაქვს საუბეშო? ხომ ყველამ ვიცით, რომ რაც დრო გადის, ჩვენი საქმე უკულმართობას ეძლევა, ამ სკოლის დაარსება ერთ უპირველეს საჭიროებას შეადგენს და უბედურეა ჩვენთვის...

•ქარგი, ნუ გააბი გოდება, ხომ გაგიგონია: დღედაცკმა თუ გაიწიაო, ცხრა უღელ ხარს აჯობებსო. მაგასაც ეშველება. ჯერ ყველას ძელ-რბილში არა აქვს გამჯდარა მგის საჭიროება. ნათქვამია: ბევრი ცემით რკინაც გატყდებაო.“

—ბანკზე რაღას იტყვი? მისგან მოველოდით მატერიალურ შევლას, ჩვენი საქმეების, ბურჯის ჩაგდებას. ბოლოს კი ლანძღვა-გინება, ჯიბრი, ერთმანერო. ის მიწასთან გასწორება, დაგზღება, მეკენჭების შეყიდვა ადგილებით, ფულით. ერთი სიტყვით აღარაფერი სისამაღლე აღარ დარჩენიათ, რომ არ ეხმარათ. ამისი რა იმედი უნდა გეკონდეს? ოღონდ ჩვენი გაეიტანოთო და თუნდ ქვა ქვაზე ნუ იქნებაო. აბა, მითხარი. ჩვენი ისტორიის მაგალითებმა იმოქმედა ვისმეზე? რა მოიძებნება ამაში სასუკეშო?

•დამშვილდი, მოხუცო? მაგაზედაც ანდაზას გეტ-

ყვი: წყალნი წაეღენ და წამოეღენ, ქვიშანი დარჩე-  
ბიანო; დაიხრდებიან ობლები, მამულნი დარჩებიანო....

—შე, ჭაბუკო, ენა მოგიღესავეს და ლაპარაკობ.  
იცი, რომ ყველას ენებზე მუწუკი ამოსვლიათ და  
თავისუფლათ ვერ ლაპარაკობენ. მაგას რაღა ეშვე-  
ლება, რა წამლობა ეჭირება, მითხარი?

„ნუ გეშინია, მოხუცო, მაგის წამალსაც გეტ-  
ყვი. ფრთხილი ექიმობა უნდა. მაშ რაში გამოვიყე-  
ნებთ ჩვენ ნასწაველ ექიმებს, თუ ისინი ენის წყლუ-  
ლსაც ვერ მოაჩვენენ. აბა, ნახე მაშინ, რა დრო დაგ-  
ვიდგება, ყველა ავჭიკიკიდებით, გაეშლით ფრთებს,  
ავფრთოვანდებით, წალკოტში ვიხარებთ....

—კარგი, კარგი, ჭაბუკო „იმედო“, მეც კი არ  
გამიტაცაო შენი ოცნებებით.



### უცხოეთის ამბები.



სპანიის საქმეები სულ უფრო და უფრო იხ-  
ყრობენ ამ ქვაბით მთელი ევროპის პოლიტი-  
კური წრეების ყურადღებას. ისპანიას და  
ჩრდილოეთი ამერიკის რესპუბლიკას შუა აშკარა შე-  
ტაკებას ყველანი აუცილებლათ მოელოან. ვაშინგტონი-  
დან ამ უკანასკნელათ მოვიდა ამბავი, რომ პრეზი-  
დენტი კლივლენდისა და სახელმწიფოს მდივანი ოლ-  
ნეის სიფრთხილგ არაუფერს შუაშიაო. ისინი საზოგადო-  
ების აზრს წინ ვერ დაუდგებიან, რომელიც თხოუ-  
ლობას, რომ კუნძული კუბა დამოუკიდებელ რესპუ-  
ბლიკათ უნდა გახდესო. შეტაკებას ის გარემოება  
აძლიერებს კიდევ, რომ ისპანიის მთავრობა გაჯინდა  
და ხმასაც არ იღებს რეფორმების შემოღებაზე, სა-  
ნამდის მისი აზრით აჯანყებულებს სამხრეთ კუნძულ-  
ზე არ დაამშვიდებს. ისპანიის სამინისტროს მეთაურს,  
როგორც ჩანს, გადაუწყვეტია მიმართოს სახელმწი-  
ფოებს პროტესტით ჩრდილოეთ ამერიკის გულის  
წადილის წინააღმდეგ, მაგრამ ისპანიის მთავრობას  
არაერთი საფუძველი არა აქვს, იფიქროს, რომ სა-  
ხელმწიფოებმა რაიმე დახმარება აღმოუჩინონ მას ამ  
საქმეში. ენის გაზეთი „Neue Freie Presse“-ი,  
რომელიც ისპანიის ერთგულათ ითვლება, აი, რას  
ამბობს ამ საქმის შესახებ.

„ათ კვირას შემდეგ მოხდება მაკ კანლის შე-  
სვლა თეთრ სახლში (პრეზიდენტის სადგომი სახ-  
ლია), და ვის შეუძლია თქვას, რომ ახალი პრეზი-  
დენტი ისე თავდაჭერით მოექცევა ისპანიას, როგორც  
ბ. კლივლენდი?.. მადრიდში იმედი აქვთ, დაიცვან  
კუნძული კუბა ჩრდილოეთ ამერიკის რესპუბლიკის

ზეგავლენიდან, მაგრამ ნუ თუ ეს თავის მოტყუება  
არ არისო?

სახელმწიფოების წარმომადგენლებმა სტამბოლ-  
ში, გაზ. „Polit. Corresp.“-ის სიტყვით, მიიღეს მა-  
ნიფესტი, გამოცემული ოსმალურის ლიბერალური  
კომიტეტის მიერ (ახალგაზღობის დასია). ამ მანი-  
ფესტში ახალგაზღა ოსმალები აცხადებენ, რომ იმათ  
განზრახვა აქვთ იბრძოლონ თანამედროვე ოსმალე-  
თის რეჟიმის (წესწყობილების) წინააღმდეგ, მაგრამ  
არაფერი საერთო არა აქვთ სომხების მოძრაობას-  
თანო. მანიფესტში ნათქვამია: „ჩვენ სრულიად თანა-  
უგრძნობთ უბედურ სომხებს, მაგრამ პროტესტს ვა-  
ცხადებთ იმ რეფორმების წინააღმდეგ, რომლებსაც  
მხოლოდ იმათი საკუთარი ინტერესი აქვთ შხედვე-  
ლობაში. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი დიდი საერთო  
საქმე, საქმე მთელი ოსმალეთის შესახებ და როცა  
ეს საქმე კარგათ დაბოლოვდება, ქრისტიანების ბედიც  
ოტომანის სახელმწიფოში საუმჯობესოთ შეიცვლება.  
ჩვენ ვთხოვლობთ 1876 წლის კონსტიტუციის გა-  
დახილვას და მის დაუყოვნებლივ განხორციელებას  
მთელ ოსმალეთში. ჩვენ ვთხოვლობთ უზრუნველ  
ყოფას და პოლიტიკურ უფლებებს ყველა გვარ ერ-  
თათვის განურჩევლათ. იმ ზომებს, რომლებსაც მხო-  
ლოდ ზოგიერთი ერების კეთილდღეობა ექნება მხე-  
დებლობაში, ჩვენ უარყოფთ; თანასწორობა და ერ-  
თობა, აი, ორი სიტყვით ჩვენი პროგრამაო“.

—ყოველ შემთხვევაში მაჰმადიანთა ახალგაზ-  
ღობის დასი ოსმალეთში სულ უფრო და უფრო იქ-  
ცევს თავისკენ ყურადღებას და თანაგრძნობას. თორ-  
მეტ დეკემბერს პარიჟში მოხდა კრება ოსმალეთის  
ახალგაზღობისა ოსმალეთის კონსტიტუციის სადღე-  
სასწაულოთ. ამ დასის წევრებს გარდა; კრებაზე და-  
ესწრენ საფრანგეთის და უცხოეთის მრავალი ჟურნა-  
ლისტები. ყველა ორატორები და უმეტესათ მურად-  
ბეი, სასტიკათ კიცხავენ ღლევეანდელი ოსმალეთის  
დესპოტიზმს, აქებდენ მიჰდატ-თაშას და ამტკიცებ-  
დენ, რომ ოსმალეთისათვის ერთა-ერთ გამოსასწნელო  
საშუალებათ უნდა ჩაითვალოს წარმომადგენლობი-  
თი წესწყობილების შემოღებაო. იქვე აღნიშნეს, თუ  
რა წარმატებაში შევიდა ამ უკანასკნელ ხანებში  
ახალგაზღობის პარტია. შემდეგ განიკიცხეს ევროპის  
დიპლომატიის უნაყოფო მოქმედება სტამბოლში  
და თვით სულთანიც. საფრანგეთის მხრით ს-ტყევა  
წარმოქმნეს: მორის ლიონემ, რომელმაც დალო-  
ოსმალეთის თავისუფლების სადღევრძელი. ვერარმა  
დალოა სულთანის ტასტიდან გადაყენებისათვის. და-  
სასრული დეპუტატი დელამეს (რადიკალია) წინადა-  
დებით დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს კრებაზე იქ  
დამსწრეს პოლკოვნიკ ანმეტ ბეის, რომელიც ამას წი-

ნეთ სტამბოლში დაჭერილ იქმნა ახალგაზღვრების მოძრაობაში მონაწილეობის მიღების გამო.

—გაზ. "Frankfurter Zeitung"-ი ამბობს, რომ ამნისტია (პატიება) მიენიჭა მხოლოდ ოსმალებს, რომლებიც სომხების ქლევტაში იღებდნენ მონაწილეობას, მაშინ როდესაც სომხები ამნისტით პოლიციის მხედველობას ქვეშ არიან დატოვებულნი, და რა მნიშვნელობა აქვს ამ მხედველობას, ამას ჩვენ წარმოვიდგენთ, თუ მივაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ქრისტიანები ათასობით ტოვებენ ოსმალეთს მხოლოდ იმ მიზნით, რომ განთავისუფლდნენ ოსმალეთის პოლიციის თვითნებობასა და უწყესო მოკმედებისაგან. ეს კიდევ არაფერია; ამნისტია სომხებს მიენიჭათ იმ მოუხერხებელი პირობით, რომ პატრიარქი თავდები უნდა იქმნას მომავალში, რომ ვანთავისუფლებულები წინააღმდეგობას აღარ ჩაიდნენ.



ფ ე რ ი ა.



ომწყინდა ლაყვარდ ცის კამარაზე ცურვა-სრი. ალი! ან რა გასართობია? მზე ჩემზე უფრო ვერ ანათებს, მთვარის ციალი ჩემი სიტუროფით ბნელდება და ვარსკვლავები, ჩემს ლალის ბაგეს და მარგალიტ კბილებს რომ შეჰყურებენ, თრთიან, ჰკანკალევენ და ეშხით მთვარალნი აწყდებიან ერთმანეთს. მთელი ბუნება, ეს დაუღალავთ მოტრიალვე ჩარხი არსებობისა, ჩემ ფრთებ ქვეშ ფშვინავს, იზმორება და იშლება ქვეყნისთვის ცხლველ-მყოფელ სიმთა ასაფლვრებლათ.

მეწყვიტე მე ფრენა—ნაფარდი,—ბუნებამაც უნდა შეწყვიტოს თავისი მაჯის ცემა... ვიშ ნეტარება! ქვესკნელი, ზესკნელი, გარესკნელი, სულიერი და უსულიო,—ყველა ჩემით ცოცხლობს, გუნდრუკს მკმევს, სიყვარულის მიგალობს, მაგრამ მაინც ვერ ვავიგე ვინ გააჩინა სიყვარული! მზეს ეკითხე და, პასუხის ნაცვლათ, სხივთა კორიანტელში გამხვია; მთვარეს ეკითხე და თითქო გახურებული შანთით მისდევნო, ისე გასრიალდა და უშეველებელ შავ ღრუბელს ამოეფარა. ერთი კი გადმოიხედა შავი მანტიის კალთიდან — ხომ არ მომდევსო— და, მანამ ვარსკვლავთან მისული არ დამინახა, ფეხი არ დაძრა მხდლომა.—მაგრამ ვარსკვლავთაგანაც ვერა ვავიგე რა: ვკითხე თუ არა,—შურდულივით გაეკანენ დედამიწისაკენ, თითქო ჩემი სიტყვა ლახვრათ ჩაესოთ გულში. არა, რათ შემომტრფიან, თუ ჩემ სურვილს არ ასარუ-

ლებენ? მომწყინდა ცა და ახლან ქვეყანას ვესტუმრები. „შეიძლება იქ უფროც ვავიგო, ვინ გააჩინა სიყვარული“—გაიფიქრა ფერიამ, რამდენჯერმე გაინაწარდა მოკრიალებულ ცის კამარაზე და შემდეგ ცქრიალ ფართქალით დაეშვა დედამიწას.

კლდიდან მოჩანჩქარე ანკარა წყარომ ნაპერწყვლებით ამოაჩქეფა სვეკალთა წინწყლები და კისკას-რაკრაკით დაათქორა მწევან ბუჩქებზე მჯდომ ფერიას, რომელსაც ბროლივით თეთრი ყელი გვერდზე გადაეგდო, ოქროს ფერი თმა მომჯადოებლათ გადაწწოდა ფართო მხარბეჭებ და ერთი-მეორეზე გადადებული პატარა ფეხები, ბავშური მოუერიდებლობით გამოეჩინა ფუფუნა სამოსლის ქვემოდან.

მთელი არე-მარე ამღერა ამ შეენიერი ქალის დანახვამ. ცელქათ მონაწარღე ნივამ ფრთა გაჰკრა ვარდ-ყვავილთა ბუჩქებს და მათგან გაცეინული ფურცლები ნარ-ნარი რხევით მიმოჰფანტა ქალის ირგვლივ; ათას წლოვანმა ფიჭვნარმა ქედი მოიღრიკა შეენიერების წინაშე და თვისი საამა სუნწელება გუნდრუკათ უკმია მას; იადონმა სულ სხვა კილოზე ამკენესარა თავისი ჩანგი და დანარჩენი ფრინველებიც საერთო ჭიჭიკ-გალობით აღიდებდნენ ტურფა ასულს. ფერია კი არაფერს ყურადღებას არ აქცევდა: იჯდა ბუჩქზე და პეპელასავით ქანაობდა იქით-აქეთ.

„ყველაგან სიყვარული და სიყვარული! ფუჭ, იმის გამჩენსაც კი რა უთხრა! არ მინდა ის ვიპოვნო, მას შეეუყვარდე, ვინც სიყვარული გააჩინა... ჰა-ჰა-ჰა, შენი ჭირიმე, რამდენი გრძნობა უნდა იყოს იმის გამჩენში! ოჰ-რა პედნიერი ეიქნები! აბა, მაშინ უყურონ ჩემ ცქრიალ-ნაწარდს: ვავიღიმებ, ნაშათ გადავხედავ საწყაროს და მთელი ქვეყნის მბრუნავ ღერძს ძირიანათ შევძრავ, შევეტარტმანებ. მე რე რომ არ შემიყვაროს? ჰმ, რას ვამბობ! განა შეიძლება მე მნახოს და არ შემიყვაროს? ქვეც კი მეტრფის, არა თუ სხვა რამ, და ქვაზე უცივისი ხომ აღარ იქნება. ვჰ, ნეტავ კი ვიპოვნო და მერე მე ეიცო... ეს ვიღაა, ასე გაშტერებული რომ დგას? მგონი, მე მომჩერებია... მაგრამ, არა... ცის კიდეს ვაჰყურებს. საწყალს, რანაირათ აცვია! ეტყობა ძალიან ღარიბი უნდა იყოს; მაგრამ, თუ-მომწონეთ კი გაჩერებულა... აი, ამას უნდა ვკითხო, ვინ გააჩინა სიყვარული და სწორ პასუხსაც მომცემს, არა! ხა, ხა, ხა, ხა, —,გადიკისკისა ფერიამ და ტაში შემოჰკრა,—,მგონი, თავის სიტოცნლეში სახელიც კი არ გაუგონია სიყვარულსა... ვითომ, რატომ არ უნდა ვკითხო? თუ არას მეტყვის, ხომ არას წამართმევს?“—გაიფიქრა ფერიამ და ეშმაკურათ ჩაიციწა.

წყაროსთან მდგომი კაცი წყნარი ნაბიჯით წა-

მოვიდა ქალისაკენ და, თითქო ახლა შენიშნაო, გაკვირვებით შეჰხედა შევნიერ არსებას. ფერიაჲ უფრო გარკვევით დაინახა იმ კაცის სახე და მორთულობა: ფერ მკრთალ მაგროჲ ჰიჩისახეზე გიშრის ტბასავით მოეღვარაობდა გრძელი წამწამებით შემოფარგლული შევნიერი თვალები, რომელსაც მავლის ფერი წარბები ისეთი შურით დაჰყურებდენ, თითქო გველი განართხულა (იწაზე და გულის კანკალით ეპარება თავს მსხვერპლსაო. ტანზე ეცვა გაჭუნებული ანისამოსა და ისე ნელ-ნელა მოადგამდა ფეხებს, თითქო ეშინოდა არსად დარჩენიყო თავისი დარღვეულ დაფხრეწილი ჩექმები, რომელიც ძლიერ ძლიერობით ამაგრდებოდა ფეხებზე. პალტოს ცალი მხარე გადაწეოდა და მარცხენა ხელი წელზე შემოედვა, მარჯვენა ხელით კი მდიდურაბთ მოათამაშებდა ხორკლებიან ყვითელ ჯოხს. ყველაფერს ათვალისკვამდა, ყველაფერს ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა. იგი კიდეც მიუახლოვდა ფერიას. ქული მოიხადა, ხელი გადისვა შევნიერ ხუჭუჭ თმაზე და გმირული ღიაყვით გადაჰხედა მომღიმარე ქალს.

— მითხარით, ვინ გააჩინა სიყვარული? — უთხრა ფერიამ და თვალი-თვალი შევნიერს გაუყურა უცნობ კაცს.

— სიყვარული? — გაკვირვებით წარმოხსენებდა ყმაწვილმა კაცმა — სიყვარულს ვინ გააჩენდა, თუ არ მძლეობა მძლეობა ძალა.

— ჰო და მინდა ვიცოდდე, რა ძალაა. ან სად არის იგი.

— ყველგან, სადაც კი შოისურვებს: ცა, დედამიწა, ხალხები და უხელოები — ყველა მას ემონება, მის ფერხთა მტერად ხდება. შვე და მთვარე იმის სხივით უკუნეთათ ჩანს, სულიერი და უსულო იმისი ეშხით ცოცხლობს, ბუნების მოძრაობა იმის მაჯისცემასთან არის შეერთებული, მთა და ბარი, ფრინველი და მხეცი იმას დაჰხარის, ქებათქებას უძღვნიან; თვით ნაზათ მქროლი ნიავი გაშმაგებით ეტრფიალება და ზედ აკედება იმის ბროლის ყელს.. და ყველა ამის მომქმედ ძალის დასაბამი შენ ხარ, შენ, შევნიერო ასულო... შენ ხარ განხორციელებული სიყვარული, შენ ხარ ბედნიერებ მსოფლიოსი, შენ წიწ ქედს იხრის არა არსათ არსებათ შემქმნელი და შენ ხელი არის თვით სამოთხე და ჯოჯონეთი.. უძღურმა ენამ ვით გამოთქვას შენი დიდება, ცის ანგელოზო და ვინ იქნება შემომქმედი სიყვარულისა, თუ არა შენი სილომაზე, უმარკობა?..

„რა მკვერ-მეტყველია!“ — ფიქრობდა ამ ლაპარაკის დროს ფერია და ქალურის კოპწივობით ატრიალებდა კისერს იქით-აქით. ხან-კი მინაბული თვალებით ახედებდა მის წინ მდგომ ყმაწვილს, ცხიერათ გაიღიმებდა და მორცხვით დაჰხრიდა თავს.

ყმაწვილი კაცი იდგა იმის წინ და, თითქო განაჩენს მოეღვარა, თვალს არ აშორებდა ფერიას.

— მანც ვერა გავიცე-რა! — შენ ხარ განხორციელებული „სიყვარულიო“. იქნება ყველაფერი ვარ, მაგრამ სიყვარული კი მე არ გამიჩენია. მაშ არ იცი, ვინ გააჩინა სიყვარული? — განმეორებით შეეკითხა ქალი.

— შენ, ქვეყნის ნეტარება!

— კიდე და კიდე! მე რათ გაეაჩენდი? მე თუმცა მატკობს სიყვარული, მაგრამ ამასთან მტანჯავს კიდეცა და სულელია ხომ არ ვიყავი, რომ ჩემი სასჯელი მევე მომეკრებინა. ან თუ გაეაჩენდი, განა საპოთხეს და ჯოჯონეთს ერთათ შევავრთებდი? არა, სიყვარული ისეთმა გააჩინა, ვინც...

— რა, ვინც? — ჰკითხა ყმაწვილმა.

— რა და... ვინც თითონ არ გაეგმის იმის მახეში... მე მგონია, ასეა...

— მერე, ვინ არის ისეთი, რომ იმის მახეში არ გაეგას? ყველას სიყვარული ასულდგმულეებს, შევნიერო.

— მაინც... — მოკლევით მიუგო ფერიამ, თუმცა გულ ნაკლული კი დარჩა, რომ სასურველი პასუხი ვერ მიიღო.

ყმაწვილს უნდოდა კიდეც ეთქვა რამე, მაგრამ ფერიამ სულ სხვა მხარეს მიაპყრო თვალები. ერთი უეცრათ შეანძრია ბუშტი და ელვასავით გასრიალდა წყაროსაკენ.

— მამაო, შენ კარგათ შესწავლილი გექნება საღმრთო წერილი და არსად ამოგიკითხავს, ვინ გააჩინა სიყვარული? — ჰკითხა ფერიამ ბერს, რომელსაც ანაფორის კალთები იღლიებ ქვეშ ამოედვა, წყაროსთვის პეშვი შეეშვირა და მხურვალეთ ეწაფებოდა ანკარა წყალს. ბერი საშინლათ შეაკრთო ამ მოულოდნელმა ხმამ: საცოდავს, ქვაზე დაბჯენილი ფეხი დაუცდა ანაფორის კალთებიც ჩამოეშალა და კოკებამდე სულ დასველდა წყალში.

— ვინ ხარ და რა სულიერი ხარ? — შესძახა ბერმა — ოჲ, დამიფარე სამას-სამოცდა ხუთო წმინდა გიორგი... უფალო შეგვიწყალებს, უფალო შეგვიწყალებს... არე-ღარევეთ გაიძახოდა ბერი და იბრაგუნებდა გულში ხელს. საწყალი, რა ნაირათ გეშინდა! ძალიან გეშინდა, მაგრამ ორჯერ-სამჯერ-კი შემპარავ მეძებარივით გაიჭვრიტა ქალისკენ. რომელიც ღიმილით მიჩერებოდა გულ-განეთქილ ბერს.

— მე ფერია ვარ, მამაო, რასა გეშინია თუ იცი, მითხარ ვინ გააჩინა სიყვარული? —

— სიყვარული... შვილო, სიყვარული... — ენის-ბორძიკით ამბობდა ბერი, — სიყვარული ღმერთმა გააჩინა, საღმრთო-წერილი ქადაგობს. ყველას, ყველას

უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი... უჰ, რანაირათ შეგვკრათი, მომიტყევეთ, მგონი, თქვენც დაგაფრთხნეთ ჩემის ურიგო საქციელით! ეტუნებოდა ბერი და თვალს ველარ აშორებდა ფერიას.

— არა უშავს-რა, მამაო, მე არ შემშინებია, ეგ ანაფორის კალთები აიწიეთ, თორემ სულ ამოგეწუწუათ.

— დიან, სიყვარულს საღმრთო-წერილი გეიბრძანებს...—ბუტბუტებდა ბერი და თან ანაფორის კალთებს იწივდა.

— მამაო, მე სულ სხვა სიყვარულის გამჩენს გკითხავ.

ბერი, თითქო ვერ მიხვდაო, ისევ თავისას გაიძახოდა.

— როგორც ვხედავ, არც შენგან გამოვა სამართალი!—დაიძახა ფერიამ და ახლა სხვა მხარეს გასრიალდა ბუჩქებისაკენ.

— მოიცა, შეილო, არ მინდოდა ცოდვიან სიყვარულზე ლაპარაკი, მაგრამ რაკი ვგრე გინდა, მობრუნდი და გეტყვი... ჩობრუნდი, შეენიერო, მობრუნდი...—მიძახოდა ბერი, მაგრამ ფერიამ უკანაც არ მოიხედა, ისე იყო გულმომსული.

II

— ოჰ, ჩემო პატარავ, გამარჯობა შენი! მიესალმა ფერია სოფლის გოგონას, რომელსაც ძველი კაბის კალთა ამოეწია, ორივე ხელებით მგვრათ ჩაფრენოდა, რომ არ დამცდეს და არ დამეზნეს რაც კალთაში მაქვსო და შიშველი პატარა ფეხებით უღარდელათ მიტყაპუნებდა ჩირგვებსა და ჩირგვებ შუა. ზავში როგორღაც შეკრთა და თვალები მიაბრია ქალის ბრკვეილა ტანსაცმელს.

— ნუ ჰკრთები, ჩემო პატარავ!—აღერსიანათ უთხრა ფერიამ და ხელი გადაუსვა თავზე, —შენ არ იცი, ვინ გააჩინა სიყვარული?

ბავშმა პირი გააღო ამ კითხვას და თითქო იგონებს რასმეო, ისე ჩაფიქრდა. ფერიამ ხელი მოხვია პატარა გოგონას, უნდოდა გულში ჩაეკრა შემკრთალი ბავში, მაგრამ ვიღაცის უკმენმა სიტყვებმა და თითონ ბავშვის მიუყარებლობამაც შეაჩერეს იგი.

— გამიშვით, გამიშვით, ღმერთო! ხომ სულ დამეზნა ეს სოკოები!.. უჰ, ჯანდაბა და ჯარხანა. — დაიძახა გოგომ და წარბშეკერით შეჰხნდა ფერიას.

— გოგო, შე სასიკვდილე, რას ჩამორჩი და აღარ მოშედეები!..—ეძახოდა ბავშს ხუთმეტ-თექვსმეტის წლის ქალი, რომელსაც ზურგი გამხმარი ფიხებით დაეტვირთა და უკან არც კი იხედებოდა ისე ეძახოდა თავის უმცროს დას.

— ჰო, ჰო მოვალ.—გასძახა ბავშმა და მიწაზე დაბნეულ სოკოებს დაწვდა ასაკრეფათ, მაგრამ, საცოდავს, ნაცრის ფერი დაედვა, როცა ძირს დაიხედა: შეენიერი ქორუა სოკოები ერთი აღარ იყო მთელი.—ზოგს ღერი მოტეხოდა, და ზოგიც ფერიას-ფეხებს ემსხვერპლნა.

— რალა ექნა ახლა?! ხომ მომკლავს ჩემი და! —ამბობდა ცრემლ-მორაყული ბავში და საშინლათ ებუზღუნებოდა ფერიას.

— ნუ წუხნარ, ჩემო პატარავ, მე აგიკრეფ შენ სოკოებს.—უთხრა ფერიამ და ძირს დაიხანა, მაგრამ გოგოს მკვანხე სიტყვებმა ხელი გააშევიბინეს მას.

— თავი დამანებე! შენი არაფერი არ მინდა...—მრისხანეთ უთხრა ბავშმა და ხელი წაჰკრა ფერიას.

— რა მიუყარებელი ყოფილხარ, ჩემო პატარავ! მე მინდა გიშველო და შენ კი ახლოსაც არ მიკარებ.

— „მიუყარებელი!“—გაიმეორა გოგომ—შენი ბრალია, რომ კალთა ხელიდან გამცდა და ამდენი სოკო დამეზნა... უჰ, უჰ,—ამბობდა გოგო და თავდახრილი გულ-და-გულ ბოჭავდა სოკოს.

ფერიამ ერთი გაინაეარდა და ელვის უმაღლესათ მობრუნდა გოგონასთან.

— აჰა, პატარავ, ხედავ, რამდენიმე სოკოები მოგიტანე? ახლა მაინც შემიირადი—უთხრა ფერიამ და აუარებელი სოკო აჩვენა თავის კაბის კალთაში.

— უჰ, სად იშოვენ ასე ჩქარა?—სიხარულით წამოიძახა ბავშმა, საჩქაროთ გადაჰყარა თავისი სოკოები და კალთა მიუშვირა ფერიას კალთას.

— თუ იცი, ახლა მაინც მითხარი, ჩემო კარგო, ვინ გააჩინა სიყვარული?—ეუბნება ფერია და თანაც თავის სავეს კალთას გოგონას კალთაში ცლიდა.

— სიყვარული!..—თითქო ახლა გაიგონაო, გაკვირვებით გაიმეორა გოგონამ.—სიყვარული პოეტმა გააჩინა.

— „ჰმ, ეს აღარ ხუმრობს!“—გაიფიქრა ფერიამ და თვალეზში შეაჩერდა თამაშათ მოტიტინე გოგოს.

— სიყვარული პოეტმა გააჩინა!—გაიმეორა გოგომ,—შენ ხომ იცი ჩვენი პოეტი? აი, სულ ლექსებს რომ ამბობს ხოლომე ერთხელ მამამ თქვა: ეს კაცი იმითომ მოველინა ჩვენ ქვეყნას, რომ ყველას სიყვარული ჩაუნერგოს გულშიო. სუყველაფერს ეტრფის და სიყვარულით იხსენიებსო. რასაკვირველია, იმან გააჩინა სიყვარული! შენ ხომ გინახავს აბრეშუმის ჭია?

— ბავშობისას მინახავს! მერე რა?

— და საშიშარია, არა?!

— რათა, საშიშარი რით არის?

— უჰ! მე ძალიან მეშინოდა იმისა. ერთხელ პოეტი მოვიდა ჩვენსა და, როდესაც დაინახა, რომ მე აბრეშუმის ქიან ჩელტს ვერ ვეკარებოდი, ისე აქო, ისე შეამკო, რომ მერე სულ გულში ვიხუტებ აბრეშუმის ქიას. აღარც მეშინია და ძალიანაც მიყვარს... შენც ხომ გიყვარს? რა კარგია შენი კაბა! — გოგონამ ხელი მოაწოდა კაბაზე — უჰ გავიქცევი, თუა რა გამოახანეს ჩემი და! — თქვა გოგომ და გაიქცა.

ფერია გაშტერებული გაჰყურებდა კუნტარუმსიმღერით მიმავალ გოგოს, რომელიც უცბათ შედგა, უკან მიიხედა და, ხელით ნიშნებასთან ერთათ, ხმამაღლა დაუძახა ქალს:

— აგერ, მე რომ გითხარი, ის არის. ხელავე აი, ის არის პოეტი; ხომ დაინახე, გორაზე, გორაზე! — შემოძახა გოგონამ და საჩქაროთ, მოჰკურცხლა ბინისაკენ.

„ეს ხომ ის კაცია, წელან რომ აღტაცებით მაქებდა და მაღიღებდა“. გაიფიქრა ფერიამ — „ნუ თუ ეს არის პოეტი, ამან გაჩნა სიყვარული!“ — მერე რანაირათ მოეხიბლევ და... ვიშ ნეტარება! — წამოძახა ქალმა და კისკას-ცქირალით ჩაეკონა პოეტის გულს.

განა ღირსი ვარ, ამ ენგელოზის სახეს შევეყურებდე ამ ბროლის ყელს ეხვეოდე! ვინ მე, ბედისაგან დაჩაგრული, და ვინ შენ, ცისა და ქვეყნის დიდება, ნეტარება და სიცოცხლე? — ჩაჩურჩულებდა პოეტი ფერიას, აღტაცებული ჩაჩერებოდა მარმარილოსავით სპეტაკ გულ-მკერდში და შევნიერ ოქროს ფერ თმაზე ალერსით უსვამდა ხელს. ფერია უფრო და უფრო ეკვრებოდა პოეტის გულს. საბრალო ქალი სულ ერთიანათ მოჰხიბლა, გადარია სატრფოს სიტყვებმა: ის კრთოდა, ჰკანკალებდა, მუხლს იყრინდა სიყვარულის ტაძრის წინაშე, მსხვერპლათ ეწირებოდა მას ხოლო თვით „სიყვარულის გამჩენი“ — კი უფრო ძლიერი ტალღებით აღელვებდა მშფოთეარე ზღვას, რომლის ზვირთები შეუბრალებლათ ეჯახებოდა უმანკო მსხვერპლს.

### III.

— ოჰ, რანაირათ ცხელა! სწორეთ სული მეხუთება, მოსვენება ვერ მიპოვნია... რა კარგი იქნება, ცაში ანაფარდება რომ შემეძლოს! მე რომ შენ ვიყო, აქ ამ ქვეყნის ქარ-ტყეზილში არ ჩავიკლავ თავს! — ეუბნებოდა პოეტი ფერიას და უღვავებს იკრებდა.

— მერე, უშენოთ რანაირათ ვიცოცხლო, ჩემო ნეტარება! განა შენთვისაც ძნელი არ იქნება უჩემობა?

პოეტმა პასუხი არ მისცა. რამდენჯერმე გაიარ-

გამოიარა, დაელო ხელი თავის ძველ ქულს და საითკენაც გასწია.

— მე ამ კაცის საქმე მაკვირვებს! — ბუტბუტებდა ფერია, — ისე აღტაცებული იყო და ახლა კი ასე დაუშვა ფრთები! მერე იმას, „სიყვარულის გამჩენს“ შეუძლია ამ გვარი გულ-გრილობა? არა, წაველ, მეც იმის გზას გავუღებ, მიზეზს გამოვკითხავ... ოჰ, რა ბედნიერი ვიყავი და რა უბედური ვარ!

ამ სიტყვასთან ერთათ, თითქო ფრთები შეუტყეციათო, უღონოთ აფირფილდა გულ-ჩაწყვეტილი ფერია.

პოეტი მიწოლილიყო შევნიერათ ტოტებ გადაშლილ მუხის ძირას საკინძე გადაეხსნა და ისე გულ-და-გულ ხერინავდა, თითქო სტამბოლი ერთ ჩირათაც არ უღირსო.

„აქ იპოვნა მოსვენება და ჩემთან კი ევრა!“ — გაიფიქრა ფერიამ, — რა შევნიერებაა, ანგელოზია, ნამდვილი ანგელოზი... — ფიქრობდა შევეყარებული ქალი და უახლოვდებოდა თავის მომხიბლველ მკვერ-მეტყველის ყელს. აგერ, კიდევ დავხარა მძინარე პოეტს, რეტ-დასხმული დავკონა იმის მკერდს და მხურვალეს გრძობით დაუწყო კოცნა. პოეტის ტკბილ ძილს არაფერი არ აკრთობდა... შეგუბული ცრემლები დაბა-ლუბათ გადმოსკდა ფერიას.

— „მგანი სულ დავუსვლე მკერდი,“ — გაიფიქრა ქალმა და სიფრთხილით გადაუსვა ხელმანდილი, რომ ცრემლები გაეშრო. მაგრამ თითქო ლახვარი ჰკრესო, ისე გაუჩერდა ხელი საბრალო ქალს. პოეტის მკერდზე საოცარი რაკა-რუკი გაადინა რალაცამ: ქალის ცრემლგუბი ყინულათ ქვეულიყვენ პოეტის გულზე და წერილი კენჭბივით ხმაურ-ზდენ ფერიას ხელის შეხებაზე.

— რათ არ ვიცოდი, სიყვარულს სხვა არავი გამჩენდა, თუ არ ისეთი, რომლის გულიც მას არ მიიკარებს! სასჯელს ყოველთვის ის გაჩენს, ვინც დარწმუნებულა, რომ ჯალათს ხელი მას ვერ შეეხება!.. ღმერთო! მე ეტირი, მღულარე ცრემლათ ედნები და ეს მღულარებაც კი ყინულათ აქცია ამისმა გაქევებულმა გულმა... არა, მე აქ აღარ მედგომება! ისევ ზეცას მივმართავ... ყველა, ყველა ტყუის, მაგრამ ყველაზე მეტათ ტყუის პოეტი, რომელიც მუდამ სიყვარულს ჰქადაგებს...

ფერიამ ერთხელ კიდევ გადახედა მძინარე პოეტს და გულ-დაწყვეტილი ანაფარდა ლაყვარელ ცის კამარაზე...

განდგეილი.

რუსეთის შინაგანი ქრონიკა.



ატახტო ქალაქების გაზეთებში, ამას წინეთ, ჩვენ ამოვიკითხეთ ერთი ფრიად საინტერესო ამბავი. გაზეთებში ნათქვამი იყო, რომ რუსეთის სახელმწიფოს საფინანსო უწყება ამჟამათ უკვე შედგომია სამუშაო დღის განწყობის საქმეს სხვადასხვა სააღმშენებლო და სამრეწველო დაწესებულებებში. ეს ამბავი მეტათ საგულისხმოა და ყურადღების ღირსი; ამიტომაც ჩვენ არ გვინდა სულ უყურადღებოდ დაეტოვოთ. ეს ამბავი, ე. ი. სამუშაო დღის განწყობების საქმე მართებლობის მიერ მითია ყველაზე უფრო ღირსნიშნენლოვანი, რომ იქიდან ამჟამათ ჩანს, თვით უმალესი მთავრობა ასე თუ ისე დარწმუნებულია ფაბრიკებში, ქარხნებში და სხვა გვარ სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავე ხალხის უნუგეშო მდგომარეობაში და მოუწადინებია რაიმე წეს-რიგის შეტანა იქ, სადაც კერძო პირთ თვით-ნებობას გარდა არავითარი წესი, არავითარი კანონი არ არსებობს. საგულისხმოა ეს იმ მხრივაც, რომ იმ დროს, როცა ყოველგან, რუსეთის ყოველ კუნჭულში; გაფაციცებით მეცადინობაა, შეუკავებელი თავის მტკრევა იმ კლასთა თუ წოდებათა შორის, რომლებიც ჟამთა ვითარებას სიმდიდრით და შეძლებულობით საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში დაუყენებია. თქვენ იკითხავთ: რა ამოძრავებთ, რა აღელვებთ, გაცხარებული მეცადინეობით რისთვის ილაღვენ და იმტვრევენ თავს ღღეწადელი საზოგადოების სათავეში მდგომნი კლასნი? — კიდევ უფრო მეტი გამდიდრებისათვის და რაც შეიძლება პეტი შეძლების შეძენისათვის, — მოგიგებთ ჩვენ, და ამ პასუხში, რასაკვირველია, ნამცეცი სიტყუე არ იქნება. ჩვენი ნათქვამის სიმართლეში დასარწმუნებლათ, მოიგონეთ მხოლოდ წლევანდელი მოძრაობა რუსეთის სააღმშენებლო და სამრეწველო კაპიტალის წარმომადგენლებისა; მოიგონეთ ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენა იარმარკითურთ, მოიგონეთ იქვე გამოფენის დროსვე მომხდარი სააღმშენებლო და სამრეწველო კრება; მოიგონეთ შემდეგ პეტერბურგში მოწვეული კრება ტარიფების შეტლის შესახებ და აგრეთვე სამეურნეო რჩევის სხდომები გასულ თვეში. მოიგონეთ ამას გარდა მადნის მწარმოებელთა კრება, 25 ოკტომბრიდან დაწყებული, ქ. ხარკოვში, შაქრის მწარმოებელთა თხოვნები ფინანსთა მინისტრის მიმართ სხვადასხვა გვარი შეღავათის მოსაპოვებლათ, რომ კიდევ უფრო ადვილათ გაეცილონ მყიდველი საზოგადოება; მოიგონეთ ამასთანავე აუარებელი თხოვნები და შუამდგომლობანი უმალესი მთავრობის წინაშე სხვადასხვა ალაგას რკინის გზის გა-

ყენისათვის, თუ სხვა გვარ სააღმშენებლო და სამრეწველო საქმის დაწყებისთვის. ჩვენ იმდენათ ბრმა არა ვართ, ვერ დაეინახოთ, რომ ყველა ამას, მთელ ამ გაფაციცებულ მოძრაობას, კერძო პირთ თუ მთელ საზოგადოებრივ კლასთა, გამდიდრებას გარდა სხვა გვარი, უფრო ღრმა მნიშვნელობა არ ჰქონდეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის. მაგრამ ამ მხარეს ჩვენ აქ არ ვეხებით, პირველათ იმიტომ, რომ ეს გარემოება აუცილებელი შედეგია კაპიტალისტური წარმოებისა, როგორც საზოგადოთ ყველა ფორმის წარმოებისა, და მეორეთ იმიტომ, რომ ჩვენ თითონ არა ერთხელ აღვინიშნავს ეს. ამჟამათ ჩვენ მხოლოდ იმას ვეხებით, თუ რას იწვევს, რა გავლენას ახდენს კაპიტალის წარმომადგენელთა შეუკავებელი წადილი გამდიდრებისადმი თანამედროვე საზოგადოების გაყვლეფელ ნაწილზე. ეს მით უფრო, რომ ამ უკანასკნელის, ე. ი. მუშა ხალხის შესახებ უმრავლესობას ჩვენში, როგორც ზევით ვამბობდით, არავითარი ცნობა არა აქვს. ეს სახელწოდება, ე. ი. მუშა ხალხი, არავისთვის უცნობი არ არის, ისიც მართალია, რომ იმას ყოველი ჩვენგანი მუდამ ხმარობს ლაპარაკში, მაგრამ თუ რას წარმოგიდგენს არსებით მუშა ხალხი ჩვენ დროში, რით განსხვავდება ის სხვა დროის მუშა ხალხისაგან, რადგანაც ეს უკანასკნელი ყველა ეპოქის აუცილებელ კუთვნილებას შეადგენს, მხოლოდ სხვადასხვა ფორმით, — ამის შესახებ უმრავლესობას არა ვაგებთ-რა, და ეს მეორე მხრით, არც ვასაკვირველია. რა თქმა უნდა, ყველა ამის ახსნა და განმარტება მთელი ჩვენი ღღეწადელი ცხოვრების ახსნა იქნება, მისი ნამდვილი ფილოსოფია, ანუ კიდევ უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, ეს შეადგენს მთელი თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის შინაარსს. რასაკვირველია, ჩვენ ამ წერილში სრულებით ვერ შევიძლებთ ამ გვარ შრომას და რომც შევიძლოთ, აქ ეს შეუსაბამო იქნება, რადგანაც ჩვენ უბრალო ქრონიკას ვწერთ. ჩვენ გესურს ვთქვათ რამდენიმე სიტყვა მხოლოდ სამუშაო დღის განწყობების შესახებ, რადგანაც ეს კითხვა ფინანსთა სამინისტროს უწყებაში იკვლევა ამჟამათ; მაგრამ წინაპირველათ საჭიროა რამდენიმე სიტყვით განვმარტოთ, თუ რაში მდგომარეობს სამუშაო დღე. მას შემდეგ, რაც ადამიანი თავის შრომით იწყობ თავის კვება, სამუშაო დღე რამდენიმე ნაირათ იცვალა თავისი ფერი, ფორმა. ევლური ცხოვრების დროს, ადამიანი ანუ გჯუფი ადამიანთა რამდენიმე საათის განმავლობაში რომელიმე ნადირის გინდ თევზის დაჭერას დროს მეტათ დიდ ჯაფას იტანდა; მაგრამ მიხსწევდა თუ არა თავის მიხსნს, ე. ი. დი-





ქრისტეს შობა.

ჭერდა ნადირს, გინდ თევზს, მთელი დღეები ისე გადიოდა, რომ ის სრულ მოსვენებაში იმყოფებოდა; ამნაირათ ჩვენ დროშიაც ცხოვრებენ ველური ხალხნი. სამუშაო დღეს აქ სულ სხვა სახე აქვს, ვინემ შემდეგ ხანებში, ის რაღაც განუსაზღვრელია და სამუშაო დღის სახელი მას არც კი შეესაბამება. მაგრამ შემდეგში პირველ-ყოფილი საზოგადოების გულში დაიბადა და განვითარდა მონობა; ამას შემდეგ საზოგადოთ წარმოებას უფრო შეუწყვეტელი ხასიათი ეძლევა და სამუშაო დღეც უფრო განსაზღვრული ხდება. მონა პატრონის სრულ კუთვნილებას შეადგენს, ის უბრალო ნივთია, რომელსაც მისი პატრონი, როგორც უნდა, ისე მოიხმარს; განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ის სხვა ნივთთა შორის სულდგმულია, ამიტომ რამ თაის პატრონს მეტი სარგებლობა მოუტანოს, მეტ მოვლასაც თხოულობს. ყოველ შემთხვევაში მონის მეპატრონე თითონ არის დინტერესებული, რომ რიგანათ მოუაროს თაის საკუთრებას, უბრალო ნივთი არის ეს უკანასკნელი, თუ სულდგმული საქონელი. და განა ჩვენ დროში პირუტყვის მეპატრონე დინტერესებული არ არის იმაში, რომ რაც შეიძლება კარგათ შეინახოს ის, თუ მისგან კარგ სარგებლობას მოეღოს? ამიტომ კლასიკური ფორმა მონობისა იყო მაშინ, როცა მონები ეწეოდნენ ზომიერ ჯაფას და ამასთანავე ოჯახის წევრებათაც ირიცხებოდნენ. პირიქით, როცა მონობა გაცილდა ამ წერტილს და მონები უზომო შრომის უღელში შეიბეს, იმ დროს მონობა ვიკე იხრწნებოდა და საზოგადოებრივი წარმოების სულ სხვა გვარი ფორმა იხადებოდა და ვითარდებოდა. ამის მაგალითს წარმოგიდგენს ჩვენ საბერძნეთის და რომის ისტორია მათი დაცემის და გადაქმნის დროს. ამიტომ საზოგადოთ კლასიკური მონობის დროს მონა მუშაობს იმდენს, რამდენათაც მას ძალა შეეწევს და სამუშაო დღეც ამისდაკვალათ იზომება.


მონობაც შეიცვალა, მან დაუთმო თაის ალაგი წარმოების სხვა ფორმას, კოლონატობას, მიწაზე დაკვრას, ბატონ-ყმურ ურთერთობას. რასაკვირველია, მონობის ნაშთი აქა-იქ კიდევ დარჩა, თვით ახალ მებატონეთ თაის შინაურ მოსამსახურეებათ მონები ჰყავდათ, მაგრამ მთელ საზოგადოებას მაინც სულ სხვა ფერი დაედვა. ეს ის საზოგადოება იყო, რომელსაც ევროპაში ფეოდალიზმს უწოდებენ და ჩვენში ბატონ-ყმობას. კლასიკური ფორმა ბატონ-ყმურ ურთერთობათა იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხი, ყმა, კოლონატი, იღებდა რომელიმე მემამულის, ფეოდალის, ანუ ჩვენებური თავადის, ბატონის მიწას, რისთვისაც ის ვალდებული იყო გადასახადი ეძლია მიწის პატრონისთვის. ან პირდაპირ ღალით,

ან რამდენიმე დღის მუშაობით კვირაში, თვეში თუ მთელი წლის განმავლობაში. ფეოდალიზმის დროს საზოგადოთ ბატონის კეთილ-დღეობა, ე. ი. მისი შეძლება და სიმდიდრე თვით მის მამულზე დასახლებულ გლეხებზე ჰქონდა: თუ ეს უკანასკნელნი შედარებით შეძლებულები და მდიდრებია, მაშინ მდიდარია თვით ამათი ბატონიც, რადგანაც იმათ ამ შემთხვევაში უკლებლათ შეუძლიათ თაის მოვალეობის შესრულება. ამისათვის ფეოდალი, ბატონი, ისე, როგორც მონის პატრონი, დინტერესებულია, რომ მის მიწაზე დასახლებული გლეხი არ გადავიდეს, მისი კერა არ მოიხშოს და შემდეგაც მოგზავებოდეს, რომ მისი ვალდებულება უკლებლათ შეასრულოს. ამასთანავე აქვე უნდა შეენიშნათ, რომ სიმდიდრე ამ დროს იზომებოდა ნივთებით, ქონებით, ე. ი. პური, ღვინით, პირუტყვით და სხვა ამისთანებით და არა ვერცხლით და ოქროთი. თქმა არ უნდა, რომ ეს ლითონები ძვირფასი და იშვიათ საუნჯეს შეადგენდნენ, მაგრამ როცა რომელიმე ბატონის შეძლებაზე თუ სიმდიდრეზე ჩამოვარდებოდა ბაასი, იტყოდნენ: ამას ამდენი და ამდენი პური და ღვინო მოუღდის, ამდენი პირუტყვი ჰყავსო და სხე. და არა ამდენი ოქრო და ვერცხლი აქვსო, როგორც ჩვენ დროში ამბობენ ხოლმე. ამას აქ ჩვენ იმიტომ ვამბობთ, რომ შემდეგ ხანებში, როცა თანამედროვე კაპიტალისტურმა წარმოების წესმა იწყო განვითარება და ამასთანავე დაიბადა და იწყო განვითარება, აგრეთვე უზომო ფელის შეძენის წყურვილმა, მას შემდეგ ბატონ-ყმური ურთერთობანი მეტათ გამწვავდა, როგორც საზოგადოთ ხდება ხოლმე, როცა ერთი რომელიმე საზოგადოებრივი ფორმა უთმობს თაის ალაგს მეორეს. ამ გასაველე ხანის დაწყობებით შესწავლა ფრიად საყურადღებოა ყველასათვის, მაგრამ ამაზე ჩვენ ახლა ვერ გავჩრდებით. აქ ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ ის კითხვა, თუ რას წარმოადგენს არსებითათ საზოგადოებრივი წარმოების სხვა და სხვა ფორმები თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებასთან შედარებით იმ მხრით, რა მხრათაც ჩვენ ახლა ვეხებით. ამ მეტათ საინტერესოა საგანს. მკითხველი ცოტათ მაინც გაიგებდა ნათქვამიდან, რომ წინანდელ დროში სამუშაო დღის განსაზღვრა რისგან იყო დამოკიდებული. ველურობის დროს სამუშაო დღის განსაზღვრა ყოველად შეუძლებელია, ეს შემთხვევაზე ჰქონდა: შეიძლება სულ მცირე შრომითაც მოიპოვოს ველურმა კაცმა საკვები მასალა და შეიძლება რამდენიმე საათის განმავლობაში დიდი ჯაფაც გასწიოს და შემდეგ მთელი კვირაობით და თვეობითაც სრულ მოსვენებას მიეცეს. კლასიკურ მონობის და ბატონ-ყმობის დროს სამუშაო დღე განსაზღვრუ-

ლია მხოლოდ მით, რომ პატრონი რაც შეიძლება თავის საკუთრებათ თელის მონას, ყმას და როგორც დაინტერესებული, ცოტათ თუ ბევრათ ზომიერ ჯაფას აყენებს მათ. სრულიად წინააღმდეგს ეხედაით ჩვენ თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებაში და სამუშაო დღეც აქ სულ სხვაგვარი პირობებით არის გარემოცული.

ფ. მ.

(შეძვევი იქნება)



### ლ ე ჩ ხ უ მ ი.

**მ**ისაც გაზაფხულის პირზე ლეჩხუმზე მოხდენია გელა, უქვეელია, ის დიდ ანტაცებაში მოვიდოდა მისი საღი ჰაეით და დიადი ბუნების სიკეცლუკით. წარმოიდგინე, მკითხველო, ორი ვიწრო ღელე ანუ ხეობა, შემწყდელი მთებში, რომლებზედაც შეფენილია პატარა-პატარა სოფლები, — აი საზოგადო სანახაობა ლეჩხუმისა. თვით ბუნებას გაუყვია ლეჩხუმი ორ ნაწილათ: რიონის ხეობისას უწოდებენ პატარას და ცხენის წყლის ხეობისას დიდ ლეჩხუმს. ცხენის წყლის ხეობა უფრო ფართეა, ვიდრე რიონისა. ამ ორ უმთავრეს ხეობას გარდა არის კიდევ პატარა ხეობები, როგორც ლაჯანურისა და ლეირიშისა, რომლებიც გამეღელზე ფრიალ საზარცლ შთაბეჭდილებას ახდენენ.

ლეჩხუმი ქუთაისის გუბერნიაში ერთ მიჯრუებულ კუთხეთ ითვლება. ქუთაისიდან ორი გზით შეიძლება წასვლა ლეჩხუმში: რიონის პირის-პირ მიმავალ გზა ტყეცილით და მეორე ცხენის-წყლის პირის-პირ მიმავალ გზით პირველი არის საფოსტო გზა, შემაერთებელი ქუთაისისა, ონისა და ცაგერიისა; ეს გზა გაივლის პატარა ლეჩხუმზე: მეორე გზა კი დიდ ლეჩხუმში შედის. ამ უმთავრეს ტოტებს უერთდება სოფლებს პატარა-პატარა ბილიკები, რომლებიც მთებზე გველივით მიიკლანენიან. საზოგადოთ ლეჩხუმის გზები მეტათ სახიუათოა, სადაც ქართლი-იმერულ-კახური ურყმი თავის დღეში ვერ გაივლის; ლეჩხუმური ურყმი, ადგილობრივი გზების შესაფერი, იმდენათ პატარაა, რომ ქართლულ ურყმის მეთაფსაც ვერ შეადგენს. მართალია მთები ძალიან ხელს უშლ-ან გზების გაკეთებას, მაგრამ ეტყობა მაინც უყურადღებოთ არის დატოვებული, ვისიც ჯერ არს, რომ გზები გააუმჯობესოს. რაჟა, მაგალითათ, არა ნაკლებ მთიანია, მაგრამ იქ გზები გაცილებით

უკეთესია ლეჩხუმ-საზე. არა თუ მარტო გზები, ხიდებიც აგრეთვე უყურადღებოთ არის მიტოვებული. ქვეითი კაცი რომ მიდის ორხეის ან ღერჩის ხიდზე, ისინი ისე ტოკავენ, რომ გამეოლომა ში შით აღარ იცის რა ქნას. ვინ იცის, რამდენი ადამიანი უმსხვერპლია ლეჩხუმის გზებს და ხიდებს! მაგრამ ამავებს რომ თავი დაეანებოთ და მარტო ლეჩხუმის წარმოებითი ძალ-ღონეს დაუტყვირდეთ, აქ უსათუოთ ამოვიკითხავთ ნამდვილ მიზეზს ლეჩხუმის უგზოობისას კერძოთ და საზოგადოებრივი ცხოვრებისას საზოგადოთ. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას აწარმოებს ლეჩხუმი ანუ რას ჰყიდის და რას ყიდულობს. ლეჩხუმი უმთავრესათ აწარმოებს ღვინოს და სიმინდს; ამ ნაწარმოებთა გაყიდვით იგი აკმაყოფილებს ანუ უკეთ რომ ვთქვათ, აკმაყოფილებს ფულის მოთხოვნილებას, რომელიც დღითიდღე მატულობს. მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში ღვინის და სიმინდის მოსავალმა შესამჩნევით იკლო, ასე რომ ნახევარზე მეტს ღვინო და სიმინდი სამყოფიც არ მოსდით, ამიტომ ბევრია იმისთანა, რომ ახლა თათან ყიდულობს; ღვინო აწ ლეჩხუმის სუფრაზე იშვიათ სახმარებელს შეადგენს. უმოაერესი მტერი, რომელსაც ღვინის მოსავალი შეუმცივებია, არის ოზი და ფილოქერა, რომელიც ახლა ვრცელდება; ეს ხუთი წელიწადია მთელ ლეჩხუმში ღვინის ხეირიანი მოსავალი არავის უნახავს, გარდა თათო-ორიოლა სოფლისა. ზოგიერთ სოფლებში, როგორც, მაგ., საირმეა, ვენახებისათვის მიუწებებიათ თავი და აღარ იმუშაებენ. გლეხები ამბობენ: სარცხელს რა ეუყოთ, იტყვიან მეზობლები უმამულოაო, თარემ მე და ჩემმა ღმერთმა ხელევე აკაფთავდა ამ ჩემ ვენახსო. გარდა ამისა ლეჩხუმლებს, როგორც მთელი უძრავი ქანება, ისე ვენახიც ცოტა აქეთ: ვენახების დაქუცმაცებას აქ საზღვარი აღარა აქვს; მეწუთეფსაც არ მოეპოვება თითო-თითო ქცევა ვენახი, დანარჩენებს კი — ნახევარი, მესამედი, მეოთხედი, მერვედი და ხშირათ ქცევის მეთაფიც; აბა, ერთი მიბძანეთ, რა გამოსავალი უნდა ჰქონდეს ამ თითო ლუკმა ვენახს?! ამისთანავე მიიღეთ მხედველობაში ისიც, რომ ლეჩხუმის ღვინო დაბალი ხარახისისა და ბაზარი ხონსა და ქუთაისის იქით აღარ მოეპოვება და მაშინ აშკარათ დინახეთ მთელ პერსპექტივას ღვინიდან ფულის მოგებისას. სიმინდის მოსავალი შედარებით ღვინის მოსავალთან უკეთესია, მაგრამ მაინც ესეც კლებულობს თან-და-თან. მიზეზი არის მიწის მოქანცვა და დაქუცმაცება ხალხის გამრავლების გამო. სიმინდი მომეტებულათ გარეთ გადის დიდი ლეჩხუმიდან, პატარა ლეჩხუმი კი ჰყვებას რაჟას. ყოველ წლიური სტატისტიკური ცნობების უკონლობის გა-

მო, არ ძალგეიძს აღენიშნოთ რაოდენობა გატანილი სიმინდისა, მაგრამ იმის თქმა კი დაქვეშაობით შეგვიძლია, რომ თან-და-თან მცირდება მოსავალი და მცირდება ამასთანავე თვით რაოდენობა გასაყიდი სიმინდისაც. ლეჩხუმში რომ ბევრი მოდიოდეს სიმინდი და ლენო, მაშინ, რასაკვირველია, გზები საუკეთესო მდგომარეობაში იქნებოდა, და თუ ეს ასე არაა, ამის მიზეზია მოუსავლობა და სიმცირე ლეჩხუმის ნაწარმოებთა. წარმოვიდგინოთ, რომ ერთ შევნიერადღეს დაიწყონ სალიტოგრაფია ქვის წარმოება, რომელიც მრავლისაგან-მრავალი მოაპოვება პატარა ლეჩხუმში ს. ალბანის მიდამოებში, მაშინ დარწმუნებული ბედნდობდეთ, მკითხველო, რომ ლეჩხუმი მთლათ ფერს იცვლის.

როგორც შედეგი მოუსავლობისა ლეჩხუმში დიდი სიღარიბე სუფევს. მთელი წლის განმავლობაში მამეტებულ მცხოვრებთაგანს ოცჯერ არც კი ექნება ხარკი სუფრაზე, ტანსაცმელი ჩამოფხრეწილი აქვთ, იკვებებიან მქადით და ლობიოთა, რომელსაც ხანდისხან შეატანენ ხოლმე ყველს. ცუდი კვებისაგან ხალხში გავრცელებულია კუჭის ავთომყოფობა. იარალი მუწის შემუშავებისა — საქონელი კ'ეზულობს თან-და-თან, სიღარიბე აძულდებს, რომ საქონელი გაჰყიდონ; შემცირება საქონლისა თავის-თავთ ხდება მიზეზათ კადვე უფრო მეტის გადაჩრებიანსა. საქონლის პატრონებს, როგორც მოგვხსენებთ, ცალკე ბევრა აქვთ დაკისრებული — სახელმწიფო ნივთების გადატანა ჯარის გავლის დროს და სხვ., და რადგანაც რიცხვი საქონლის პატრონთა მცირდება, ბევრაც უმცირეს-ნაწილს აწევა თავს, ამიტომ ესენი ასე გაიძახიან: ჩემი ხარები მუდამ ბევრაზე გაჰყავთ, ის არა ჯობია, გაეყიდა და ამონ შეწუხებაც ავიცილო თავიდან და ჩემი საქონელიც მევე მოვიხმარო. საქონლის შემცირების მიზეზი არის აგრეთვე საძოვრების უქონლობა.

სიღარიბისავე მიზეზია აგრეთვე გლეხთა დავალიანება: იშვიათი გლეხი მოაპოვება, რომ ვალი არ ემართოს, მითხრა ერთმა ხოგიშელმა გლეხმა. აქ ფულას გამსესხებლები არიან ლაილაშის მოვაჭრენი, მღვდლები, სოფლის მწერლები და თითო-ორიოლი მდიდარი გლეხიც. აბაზს ნაკლებ თვეში თუქანს არ გაასესხებენ და ამაზე მეტათ გასესხება კი უფრო ხშირია. ლეჩხუმელ გლეხთა დავალიანება იმითი განიჩევა კახელ გლეხებთან შედარებით, რომ დიდი ვალი არ ჰმართებთ, და საზოგადოთ აქ არც დიდი ფულის პატრონები არიან. კახეთში, მაგ., თქვენ შეხედვებით მეზობლათ ერთი მხრით ათასი თუმნის პატრონ გლეხს და მეორე მხრით სრულიად ღარიბ-

ლატაკს, ანუ ბოგანოს. აქ კი გლეხები ქონების მხრით ბევრით არ განიჩევიან ერთი მეორესგან.

ლეჩხუმში გლეხობა ვალიანდება უმეტეს ნაწილათ მამულის გამოყიდვის დროს. აქ ორი მესამედი გლეხთა ბატონისაგან თავ-დაუხსნელია, რომლებიც ასეთი დამოკიდებულების გამო მეტათ შეწუხებულნი არიან, რადგან ბატონის სასარგებლოთ იხდიან მოსავლის მეოთხედს (ზოგან მესამედსაც); ამიტომ გლეხნი მუდამ იმის ფიქრში არიან, რომ მალე თავი გაითავისუფლონ ბატონისაგან. რაკი ესენი მოაგროვებენ რამდენიმე თუმანს, მაშინვე ბატონისაგან დაიხსნიან თავს. მაგრამ, ვაი, ამისთანა თავის დახსნას! ბატონმა მამული ძვირათ მიჰყიდა, გლეხს თავის ფული არ ეყო, და აიღო ვალი, ბოლოს კი ის გამოვიდა, რომ გლეხმა მამული ცალკე დაჰკარგა და ვალი კიდევ ცალკე დაწვავ კისერზე.

რაკი სიმინდის და ლენის მოსავალი ხელს აღარ აძლევს ლეჩხუმელს, რაკი მოვალე და ბატონი მუდამ აწუხებს მას, იგი იძულებული ხდება წავიდეს გარეთ-სამუშაოზე; და მართლაც, ჩვენ ხედავთ ლეჩხუმელს ქუთაისში, თბილისში, კახეთში, ბაქოში, ბათუმში და სხვაგან, სადაც იგი ჰკიდებს ხელს ყოველგვარ ხელობას: მკვდლობას, დურგლობას, მოსამსახურობას, მოიჯარადრობას, ვაჭრობას და სხვ. ამ სახით ლეჩხუმიდან დაახლოვებით ნახევარი მუშა ხალხი იქნება გარეთ გასული, რომელიც პირველ ხანებში ოჯახთან კავშირს არა წყვეტავს. როგორც მიამბეს, ის ოჯახი უფრო მდიდრათ არის თურმე; რომლიდანაც რამდენიმე მუშა კაცია გარეთ სამუშაოზე წასული, ვინემ ის, რომელსაც გარეთ გასული არავინ არა ჰყავს. ამას გარდა პირველი ტიპის უსიამოვნება და გაყრა უფრო იშვიათია, ვიდრე მეორე ტიპის ოჯახებში, რადგანაც ამ უკანასკნელ ოჯახების წევრთა შორის უთანხმოების ჩამოყარა უფრო ადვილია. საზოგადოთ ეს გაყრა ძალიან ხშირდება. ძველებურ ოჯახებს ლეჩხუმში ახლა სრულიად ვერ შეხედვით.

ამნაირათ ლეჩხუმელი დღეს ფულის მოთხოვნილებას იკმაყოფილებს უმეტეს ნაწილათ გარეშე სამუშაოთი, შიგ ლეჩხუმში არავითარი ალბ-მიცემობა არ არსებობს, მხოლოთ ლაილაშში და ცაგერში არის დუქნები, სადაც მაზრის მოხელეები ცხოვრებენ. მთელ მაზრაში არაად არ მოაპოვება არც სამკითხველო, არც სავაჭრო საზოგადოება, არც დეპო და არც ხეირიანი ინტელიგენცია. მთელ ლეჩხუმში მინდის სულ სამი თუ ოთხი ცალი ქართული ქურნალ-გაზეთობისა.

ახლა ენახოთ, როგორიღაა სკოლების საქმე. რადგან რამდენიმე სოფელს, შორი-შორს მდებარეს,

მარტო ერთი სკოლა აქვს, ამიტომ სასურველი სარგებლობა ვერ მოაქვთ მათ. ლეჩხუმის სკოლები ამასთანავე ცუდად არის მოწყობილი, შენობები არ ვარგა, მასწავლებელი მატერიალურათ დამოკიდებულაია სოფლის მამასახლისზე, რომელიც ოთხ-ხუთ თვეში ერთხელ თუ ჩააბარებს ჯამაგირს; ეს უკანასკნელი არასოდეს არ აღემატება ორ თუმანს. მასწავლებლებიც მომეტებულ ნაწილათ მოუშვადებლები არიან. სამრევლო სკოლები უფრო დაბლა დგანან სამინისტროებზე. არც ერთ სამრევლო სკოლაში არ არის სემინარიაში ნასწავლი მასწავლებელი. აქ ასწავლიან დიაკვნები. ლეჩხუმის მხარაში მარტო ორა მღვდელი თუ მოიპოვება საშუალო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ. მღვდლები კომლზე იღებენ ორ მანეთს ფულათ და ჯამაგირიც 120 — 150 მანეთამდე აქვთ. ვერ ამიხსნია, თუ რა მიზეზია, რომ განათლებული სამღვდლოება ნაკლებათ არის ლეჩხუმში?

დროებით ლეჩხუმელი.



უ ც ხ ე თ ი ღ ა ნ .

სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში

დასასრული \*)

ს კ ო ლ ა .



ანამედროვე ცხოვრება იმდენათ გართულდა, გამრავალფეროვანდა და გაძნელდა, რომ ადამიანის მთელ ყურადღებას, მთელ ძალ-ღონეს და ნიჭიერებას თავისკენ იზიდავს და სამუდამოთ იპყრობს. ის ცხოვრების ახალ პირობებს ან უნდა მიეწყოს ან და გაქრეს. ეს პირობები კი სამოქალაქო პირობებია, ეს მოწყობა გაქალაქებია. მაშასადამე, მან უნდა აღიჭვრტოს ისეთი იარაღით, რომელსაც მოქალაქეობა მოითხოვს და მას შეეფერება. ამიტომ არის, რომ ყოველ ნაირი დაწესებულება დღეს ან ერთიანათ ამ გზაზე დგას, ან და აქვთ მიექანება, უწყინარეს ყოვლისა სწავლა განათლება. მთელ ევროპაში ამის მიზანი ერთი და იგივეა, ადამიანი შეაიარაღოს მოქალაქობრივი ცხოვრებისათვის. გერმანიის სკოლაც თან-და-თან ამ ხასიათს ლებულობს. მას ცხოვრება აიძულებს საერო საგნებს ფართო ალაგი დაუ-

